*დანართი №1*

განათლების
ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრი

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი

10.2022

11.2022

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ... 4

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა ... 5

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან ... 10

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა ... 10

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა ... 20

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა ... 24

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა ... 27

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები ... 32

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | ა(ა)იპ საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 211325653 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო ლომიძე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | გიორგი ხაბეიშვილი, ეროვნული სატყეო სააგენტო, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე (პროგრამის ძველი დასახელება „სატყეო საქმე") |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | - |
| უმაღლესი განათლების საფეხური | ბაკალავრიატი |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | სატყეო საქმის ბაკალავრი |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0821-მეტყევეობა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | - |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 240 |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული #30, 2019 წლის 24 იანვრის გადაწყვეტილება |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | - |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 იანვრის №30 გადაწყვეტილების საფუძველზე ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია, 6 თვეში ანგარიშის წარდგენით.

2019 წლის აკრედიტაციის პროცესით პროგრამის აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა იყო შემდეგი:
სტანდარტი 1. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
სტანდარტი 2. - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
სტანდარტი 3. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
სტანდარტი 4. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
სტანდარტი 5. - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2019 წლის 07 ნოემბრის №57 ოქმის თანახმად ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის სატყეო საქმის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიში მიღებულ იქნა ცნობად (სხდომას არ ესწრებოდნენ საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები).

უმაღლესი საგანმანათლებლო საბაკალავრო პროგრამის დასახელება „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ (მისანიჭებელი კვალიფიკაცია „სატყეო საქმის ბაკალავრი“) დაწესებულების პოზიციიდან გამომდინარე განისაზღვრა პროგრამის შინაარსისა და მიზნებიდან გამომდინარე, რადგან ის უფრო სრულად ასახავს პროგრამას, რომელიც მოიცავს როგორც ბუნებრივი და ხელოვნური/სამეურნეო ტყის, ასევე ურბანული მეტყევეობის (პარკი) მიმართულებას, ხოლო ბუნებრივი ლანდშაფტის მენეჯმენტი ყველა ამ მიმართულებებს შემადგენელი ნაწილია.
სატყეო საქმის სპეციალისტებისთვის დასაქმების და კვლევის ძირითად არეალს წარმოადგენს, როგორც ტრადიციული მეტყევეობა, ასევე ეკონომიკურად, ეკოლოგიურად და მართვის ამოცანების მიხედვით სულ უფრო მზარდი მნიშვნელობის მქონე ე.წ. ურბანული გამწვანება და საპარკო საქმე. დღეს ეს მიმართულება სწრაფი ტემპით ვითარდება და მწვანე ინფრასტრუქტურას, ურბანული გარემოს რეკრეაციულ და ესთეტიკურ მხარეს მეტი ყურადღება ექცევა და მოთხოვნადი ხდება.
დაწესებულების ინფორმაციით პროგრამის რებრენდინგის შემდეგ, მასზე მოთხოვნა მნიშვნელოვნად გაიზარდა სტუდენტებში და ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, წელს პირველად თერთმეტმა სტუდენტმა აირჩია „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმის“ საბაკალავრო პროგრამა და მიიჩნია „სატყეო საქმე“ სასურველ პროფესიად.
პროგრამის სახელწოდების ცვლილება დამტკიცდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის რექტორის 2021 წლის პირველი დეკემბრის N15-03/12-01 ბრძანებით. აღნიშნულის შესახებ ეცნობა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს 15-08/12-09 წერილით.

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ხანგრძლივობა 4 წელი და მოცულობა 240 კრედიტია. პროგრამაზე სწავლების ენა ქართულია. პროგრამის კურსდამთავრებულს ენიჭება სატყეო საქმის ბაკალავრის (0821) კვალიფიკაცია. პროგრამაში წარმოდგენილია 64 სასწავლო კურსი. სტუდენტის დატვირთვა შეადგენს 7200 საათს. საკონტაქტო საათების რაოდენობაა 2761 საათი, ხოლო დამოუკიდებელია 4319 საათი. პირველ წელს კრედიტების რაოდენობაა 62, მეორე პირველ წელს კრედიტების რაოდენობა შეადგენს 66, მესამე წელს - 60 კრედიტს, ხოლო მეოთხე წელს - 52 კრედიტს.

საქართველოს აგრარული უნივერსიტეტი ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას შესაბამისი კვალიფიკაციისა მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალით.
საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელება უზრუნველყოფილია ფინანსურად და მატერიალურად. პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტი გამოყოფს შესაბამის ფინანსურ და

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

მატერიალურ რესურსს. საგანმანათლებლო პროგრამა განხორციელდება კახა ბენდუქიძის კამპუსში, რომელიც აღჭურვილია მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად საჭირო ინვენტარითა და ყველა სხვა რესურსით.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

2022 წლის 29 სექტემბრის განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის №1187216 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის "ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის'' საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე არაგეგმიური მონიტორინგი,
არაგეგმიური მონიტორინგი განხორციელდა ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

  - სტანდარტი 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  - სტანდარტი 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  - სტანდარტი 3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

  - სტანდარტი 4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- **რეკომენდაციები**

  - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ გაიზარდოს პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების მიღწევადობა.
  - სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლებიდან გადავიდეს პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში.
  - მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სატყეო სფეროს სპეციფიურობის გათვალისწინებით მოდიფიცირება განიცადოს და კონკრეტულად სატყეო მიმართულებაზე გახდეს ორიენტირებული სასწავლო კურსების სილაბუსები: „საველე პრაქტიკა“ და „მუშაობა ორგანიზაციაში“.
  - პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობიდან გამომდინარე ძირითადი განათლების სასწავლო კურსებს გაეზარდოს კრედიტები, როგორიცაა: „დენდროლოგია“, „დენდრომეტრია“, „ტყის მართვა“, „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა“, „ ტყის გაშენება“.
  - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
  - ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შეირჩეს სატყეო მიმართულების სპეციფიურობის გათვალისწინებით.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**
    - შეეცვალოს სათაური სასწავლო კურსს „ტყის მართვა" და ჩამოყალიბდეს „ტყის მართვის დაგეგმვა".
    - სასურველია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე" ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში აუცილებელ მასალებში უცხოურ ლიტერატურასთან ერთად მიეთითოს შედარებით ახალი ქართული ლიტერატურაც, ან სტუდენტს მიეწოდოს სალექციო კურსი ქართულ ენაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

    -----

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

განხილულ იქნა უნივერსიტეტის მიერ 2022 წლის 14 ნოემბერს №15-08/11-67 წერილით წარმოდგენილი აგრარული უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რომელთან დაკავშირებითაც წარმოგიდგენთ ჩვენს არგუმენტებს.

1. პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების გაზრდას ძირითად სასწავლო კურსებში, უნივერსიტეტის არგუმენტირებული პოზიცია, რომ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი უზრუნველყოფილია არა მხოლოდ 5 კრედიტიანი საგნით „მუშაობა ორგანიზაციაში" („მუშაობა ორგანიზაციაში" განსაზღვრულია 5 კრედიტის მოცულობით, ხანგრძლივობა კი მინიმუმ სამი სამუშაო კვირაა), არამედ სხვა საგნებითაც და წარმოდგენილია სასწავლო კურსების ჩამონათვალი: ტყის გაშენება, ხის დამუშავების საწარმოთა პროექტირება, კერძო ენტომოლოგია, მცენარეთა ბიოლოგია და ა.შ. გაცნობებთ, რომ ზემოაღნიშნულ არცერთ სასწავლო კურსს არ გააჩნია პრაქტიკა. ამ საგნებში ჩვენ ვხვდებით: ლექციას, სემინარს, პრაქტიკულ და ლაბორატორიული მუშაობის მეთოდებს და არა პრაქტიკას საველე პირობებში. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის „სატყეო საქმე" (2019 წელი) შესაბამისად 2,3,4,5 კომპეტენციის სფეროებში: ტყის მდგრადი მართვა და სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; ბიომრავალფეროვნების კონსერვაცია და აღწარმოება; ურბანული გამწვანება და ლანდშაფტის დაგეგმვა; ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგია და გადამუშავება - ითვალისწინებს კომპეტენციის მიღწევის სპეციფიკურ მეთოდებს, კერძოდ პრაქტიკულ დავალებებს (საველე პირობებში) და საწარმოო პრაქტიკას რაც აღნიშნულ სილაბუსებს არ გააჩნიათ. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეკომენდირებულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე" გაიზარდოს პრაქტიკის კომპონენტის კრედიტების რაოდენობა პროგრამის ძირითად სასწავლო კურსებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების მიღწევადობა.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

2. მეორე და მესამე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება „საველე პრაქტიკის“ ადგილმონაცლეობას ზოგადი განათლებიდან პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში ვერ გავიზიარებთ უნივერსიტეტის პოზიციას რომ ეს არანაირ გავლენას არ ახდენს მის ხარისხზე, რადგან პროგრამის აკრედიტაციისას (2019 წელი) იგი შედიოდა პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში, მხოლოდ შემდგომ გადმოვიდა იგი ზოგად განათლებაში. წარმოდგენილ პროგრამაში შემცირდა პრაქტიკული განათლების კრედიტების რაოდენობა იყო 8 კრედიტი (2019 წელი), ამჟამად არის 5 კრედიტი. უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის „სატყეო საქმე“ (2019 წელი) შესაბამისად მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სატყეო სფეროს სპეციფიურობის გათვალისწინებით ძალზედ მნიშვნელოვანია პრაქტიკის კომპონენტის არა შემცირება, არამედ სასწავლო კურსებში პრაქტიკულ დავალებების (საველე პირობებში) და საწარმოო პრაქტიკის წილის ზრდა. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეკომენდირებულია: სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლებიდან გადავიდეს პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში; მისანიჭებელი კვალიფიკაციის და სატყეო სფეროს სპეციფიურობის გათვალისწინებით მოდიფიცირება განიცადოს და კონკრეტულად სატყეო მიმართულებაზე გახდეს ორიენტირებული სასწავლო კურსების სილაბუსები: „საველე პრაქტიკა“ და „მუშაობა ორგანიზაციაში“.
3. მეოთხე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ძირითადი განათლების სასწავლო კურსების კრედიტების ზრდას, როგორებიცაა: „დენდროლოგია“, „დენდრომეტრია“, „ტყის მართვა“, „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა“, „ ტყის გაშენება“ ვერ დავეთანხმებით უნივერსიტეტის პოზიციას, რომ პროგრამის აკრედიტაციისას არ ყოფილა ეს საკითხი აღნიშნული. 2019 წლის 24 იანვრის #30 გადაწყვეტილების, ოქმისა და დასკვნის პროექტში ეს საკითხი არის განხილული და უნივერსიტეტს მიეცა რჩევა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსების კრედიტების ზრდასთან დაკავშირებით. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეკომენდირებულია პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობიდან გამომდინარე ძირითადი განათლების სასწავლო კურსებს გაეზარდოს კრედიტები, როგორიცაა: „დენდროლოგია“, „დენდრომეტრია“, „ტყის მართვა“, „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა“, „ ტყის გაშენება“.
4. მეხუთე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ მიზნების, სწავლის შედეგების და შინაარსის შეუსაბამობას პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან, ვერ გავიზიარებთ უნივერსიტეტის პოზიციას, რომ: „ტყე მხოლოდ ხეები არ არის“ და „მიწათმოქმედების საფუძვლები ითვალისწინებს სატყეო კულტურების მოყვანისათვის ყველა იმ სამუშაოს განხორციელებას, რაც სრულდება აგროკულტურებში“ ; „აგროქიმიის პრინციპები იდენტურია როგორც სასოფლო-სამეურნეო აგრეთვე ტყის კულტურებისათვის“ და ა. შ . გარდა ზემოაღნიშნულისა ვერ დავეთანხმებით მოსაზრებას, რომ „ტყეს მიეკუთვნება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები, რომელიც მოიცავს სახნავებს, სათიბებს, საძოვრებს, ტყე-ბაღებს, ვენახებს (გვ.5)“. ტყის დეფინიცია მოცემულია საქართველოს ტყის კოდექსში, მუხლი 2. ტერმინთა განმარტება. ბ) ტყე – ტყის კონტურის შიგნით არსებული ტყის შემქმნელი სახეობებით დაფარული ტერიტორია და სხვა ტერიტორია, რომელიც ტყის ეკოსისტემის განუყოფელი ნაწილია. ტერმინს ტყე-ბაღი კოდექსი არ ცნობს. აღნიშნული ჩანაწერი შესაბამისობაში არაა ტყის კოდექსთან.
ყველა ზემოაღნიშნული სასწავლო კურსი მნიშვნელოვანია, მაგრამ ისინი განკუთვნილია სასოფლო-სამეურნეო კულტურებისათვის (ზოგიერთს მიზანშივე აქვს, რომ იგი განკუთვნილია მომავალი აგრონომიისათვი მაგ: „მიწათმოქმედების საფუძვლები“ დეტალურად იხილეთ 1.5 სასწავლო კურსი) საგანმანათლებლო პროგრამა რომლის მისანიჭებელი კვალიფიკაციაა სატყეო საქმის ბაკალავრი პირველ რიგში უნდა უზრუნველყოფდეს სასწავლო კურსების მიზნების, სწავლის შედეგებისა და შინაარსის შესაბამისობას პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ

კვალიფიკაციასთან. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეკომენდირებულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ მიზნები, სწავლის შედეგები და შინაარსი შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

5. მეექვსე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალის შერჩევას სატყეო მიმართულების სპეციფიურობის გათვალისწინებით. უნივერსიტეტის პოზიციიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ დავაზუსტებთ იმ ლიტერატურას რომელიც შეუსაბამოა სატყეო დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე სასწავლო კურსის სილაბუსებში: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ გამოყენებული სასწავლო მასალა საჭიროებს ცვლილებებს სატყეო დარგის სპეციფიურობის გათვალისწინებით, რადგან ისინი განკუთვნილია სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის. შესაბამისად მიგვაჩნია, რომ რეკომენდირებულია ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა შეირჩეს სატყეო მიმართულების სპეციფიურობის გათვალისწინებით.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის ახალი დასახელება „ ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ სწავლის სფეროების კლასიფიკატორის მოთხოვნების მიხედვით შეესაბამება პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს, პროგრამის შინაარს და მხარდაჭერილია შესაბამისი რესურსებით.
ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ მიზანია მომზადდეს სატყეო საქმის ბაკალავრი, რომელსაც ექნება სატყეო საქმის სფეროს ფართო ცოდნა, ეცოდინება ტყის მოვლა-დაცვის, აღდგენა-განახლების, მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპები. ეცოდინება ხის გადამუშვების საწარმოთა დაპროექტების საფუძლები, სტრუქტურა, მართვის მექანიზმები და ხის დამუშავების ტექნოლოგიები, ასევე ეცოდინება ლანდშაფტის დაგეგმარების და დეკორატიული ბაღ-პარკების გაშენების პრინციპები, საბაღო-საპარკო ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები.
მოცემული საკითხები მნიშვნელოვანია, იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ტყეებს საქართველოში უკავიათ ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 43% და განსაკუთრებული როლი გააჩნიათ არა მარტო ეკოლოგიური სტაბილურობის შენარჩუნების მიმართულებით, არამედ ეკონომიკური და სოციალური განვითარების კუთხითაც, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისად კვალიფიცირებული კადრების არსებობა.
პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა, საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და სატყეო საქმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი „სატყეო საქმე“

**რეკომენდაციები:**

--------------

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

--------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამის დასრულების შემდეგ სატყეო საქმის ბაკალავრს შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოება და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება, ეცოდინება დაცული ტერიტორიების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიების დაგეგმვის და მართვის მექანიზმები, ეცოდინება მერქნიან სახეობათა მავნე მწერებისა და დაავადებების ბიოლოგია და ეკოლოგიური თავისებურებანი, ეცოდინება ხელოვნური ნარგავების გაშენებისა და მართვის საკითხები, შეეძლება ურბანული გამწვანების დაგეგმვასა და მართვაში მონაწილეობის მიღება, ეცოდინება ხის დამუშავების ტექნოლოგიის ასპექტები და სტანდარტიზაცია, შეეძლება ამა თუ იმ სახეობის მავნეობის და დაავადების განსაზღვრა ეკოლოგიური ინდექსების გამოყენებით, შეეძლება მავნებლების და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების ინდეტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა, შეეძლება სანერგეების დაგეგმარება და მართვა, შეეძლება მერქნის გადამუშავების საწარმოთა დაპროექტება და მართვა.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულს ჩამოუყალიბდება ქვემოთ ჩამოთვლილი ზოგადი და დარგობრივი კომპეტენციები:

**ზოგადი კომპეტენციები:**
კრიტიკული ანალიზის, მსჯელობისა და დებატის უნარი; მშობლიურ ენაზე პროფესიული წერისა და კომუნიკაციის უნარი; უცხოურ ენაზე (ინგლისური) წერისა და კომუნიკაციის უნარი; უცხო გარემოში ადაპტირებისა და მოქმედების უნარი; ჯგუფში მუშაობის უნარი; სწავლისა და ცოდნის მუდმივი განახლების უნარი; თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების უნარი; სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების, ნაშრომის გაფორმების და საჯაროდ წარმოდგენის უნარი; განსხვავებებისა და კულტურული მრავალფეროვნების დაფასებისა და პატივისცემის უნარი.

**დარგობრივი კომპეტენციები:**
ეცოდინება მცენარეთა ბიოლოგიის თავისებურებები, მცენარეში მიმდინარე ბიოქიმიური და ფიზიოლოგიური პროცესები; შეეძლება ბიოცენოზზე, ეკოსისტემაზე და ბიოსფეროზე მოქმედი ეკოლოგიური ფაქტორების გამოვლენა და მათი გავლენის შეფასება; ეცოდინება მცენარეთა დაცვის ზოგადი პრინციპები; ეცოდინება ნიადაგების გენეზისის საფუძველზე ნიადაგების შეფასება, ნიადაგის დამუშავება და მისი ნაყოფიერების მართვა; შეეძლება ნიადაგური და კლიმატური პირობების ექსტრემალური მდგომარეობის დადგენა და დაკავშირება კონკრეტული მცენარეების ზრდა-

განვითარებასთან; ეცოდინება მერქნიან მცენარეთა სისტემატიკა, მორფოლოგია, ბოეკოლოგიური თავისებურებები და გამოყენების პრინციპები; ეცოდინება ტყის მდგრადი მართვის პრინციპები და სატყეო სამეურნეო ღონისძიებების დაგეგმვა-განხორციელება; ეცოდინება ურბანული გამწვანების და ლანდშაფტის დაგეგმვის პრინციპები; ეცოდინება ხე-ტყის დამზადების ტექნოლოგიის და გადამუშავების მეთოდები; შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების კონსერვაციისა და აღწარმოების პრინციპები, დაცვა და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება; შეეძლება სატყეო სფეროს საკითხებზე ინფორმაციული მასალის მოძიება და ანალიზი, პრობლემის დაყენების და გადაჭრის შესახებ დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება; შეეძლება არსებული პრობლემის შეფასება და მისი აღწერა როგორც სპეციალისტებისთვის, ისე არასპეციალისტებისათვის, როგორც წერილობითი ასევე ზეპირი ფორმით; გაცნობიერებული ექნება ტყის მნიშვნელობა ბუნებრივი და ხელოვნური ეკოსისტემების დაცვის, შენარჩუნებისა და მდგრადი გამოყენებისათვის.

საბაკალავრო პროგრამის დასრულების შემდეგ სატყეო საქმის ბაკალავრს:

**ცოდნა და გაცნობიერება:**

ექნება სატყეო სფეროს შესახებ ფართო ცოდნა; ეცოდინება ტყის მოვლა-დაცვის, აღდგენა-განახლების და მდგრადი ტყითსარგებლობის პრინციპები; ეცოდინება მერქნიან მცენარეთა სისტემატიკა, იდეტიფიცირება და ბიოეკოლოგიური თავისებურებანი; ეცოდინება ტყის ინვენტარიზაციის, დაგეგმვის და მართვის საკითხები; ეცოდინება დაცული ტერიტორიების ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნება და დაცული ტერიტორიების დაგეგმვის და მართვის მექანიზმები; ეცოდინება ურბანული გამწვანების დაგეგმვისა და ხელოვნური ნარგავების გაშენებისა და მართვის პრინციპები; ეცოდინება ლანდშაფტური არქიტექტურისა და საბაღო-საპარკო ხელოვნების ისტორიის ძირითადი ეტაპები და თანამედროვე ტენდენციები; ეცოდინება დეკორატიული ბაღ-პარკების გეგმარების პრინციპები და თავისებურებები; ეცოდინება დეკორატიულ გამწვანებაში ფართოდ გამოყენებული დეკორატიული მერქნიანი მცენარეები; ეცოდინება ხის გადამუშვების საწარმოთა საწარმოო პროცესები, სტრუქტურა, ხის დასამუშავებელი ჩარხები, დანადგარები და აღჭურვილობა; ეცოდინება გადამუშვებული მერქნული რესურსების სტანდარტიზაცია ( შპალი, შპონი ფიცარი და ა.შ.); ეცოდინება მერქნის დამუშავების ტექნოლოგიის პრინციპები -მერქნის ქიმიური დამუშავება, მერქნის თერმული დამუშავება, შრობა და სხვა;

გაცნობიერებული ექნება ანტროპოგენური ფაქტორის გადამწყვეტი როლი ტყის რესურსების დაცვასა და კვლავწარმოებაში; ეცოდინება მერქნიან სახეობათა ენტომოლოგიის როლი ტყის ეკოსისტემებში; ეცოდინება მერქნიან სახეობათა მიხედვით თითოეული მავნე სახეობის ბიოლოგია და ეკოლოგიური თავისებურებანი; ეცოდინება მავნებლის დამზიანებელი ფაზა და დაზიანების პერიოდი; გაცნობიერებული ექნება ტყის ეკოსისტემების გარემოსდაცვით მნიშვნელობა და ეკოლოგიურ ფუნქციები.

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:**

შეეძლება ტყის ბიომრავალფეროვნების დაცვა, კვლავწარმოების და ტყის რესურსების რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და პროგნოზირება; შეეძლება ტყის მართვის გეგმის შედგენასა და განხორციელებაში, აგრეთვე სატყეო-სატაქსაციო სამუშაოთა ორგანიზებასა და შესრულებაში მონაწილეობის მიღება; შეეძლება ტყის ხელოვნური ეკოსისტემების ფორმირებისა და დეკორატიული ბაღ-პარკების დაგეგმვასა და გაშენების პროცესში მონაწილეობის მიღება; შეეძლება ბაღების და პარკების სტილის გარჩევა და ანალიზი; შეეძლება ტყისა და დეკორატიულ მცენარეთა სანერგე მეურნეობების დაგეგმვა და მართვა; შეეძლება მცენარეების თესლით და ვეგეტატიურად გამრავლება და სანერგეში მათი მოყვანა და მოვლა; შეეძლება ხის გადასამუშავებელი საწარმოების პროექტირებასა და მართვაში მონაწილეობის მიღება; შეეძლება გადამუშავებული სტანდარტიზებული მერქნული რესურსების მიზნობრივად გამოყენება; შეეძლება ამა თუ იმ სახეობის მავნეობის განსაზღვრა ეკოლოგიური ინდექსების გამოყენებით; შეეძლება ტყის სახეობათა მავნებლების ინდეტიფიცირება და მათი მავნეობის განსაზღვრა; შეეძლება კონკრეტული სახეობის მავნებლის და დაავადების გამომწვევი ორგანიზმების წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება. დასკვნის უნარი:

შეეძლება ინფორმაციაზე დაყრდნობით მოსაზრებების ჩამოაყალიბება და მათი გადაჭრისათვის ალტერნატიული და დამატებითი რესურსების გამოყენება; შეეძლება სატყეო სფეროში მოამზადოს წერილობითი ანგარიში და თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკეთოს დასკვნები; შეეძლება ტყის ეკოსისტემების ბიომრავალფეროვნების კვლევა მონიტორინგში მონაწილეობის მიღება, შედეგების ანალიზი და შესაბამისი დასკვნების გამოტანა; საჭიროების შემთხვევაში, შეეძლება მონაწილეობა

მიიღოს შესაბამისი საკანონმდებლო აქტებით დარეგულირებული დარგის/სფეროს სპეციფიკური საკითხების განხილვაში.

**კომუნიკაციის უნარი:**

შეეძლება იდეების, არსებული პრობლემებისა და გადაჭრის გზების შესახებ დეტალური წერილობითი ანგარიშის მომზადება და ინფორმაციის სატყეო დარგის წარმომადგენლებისა და არასპეციალისტებისათვის ზეპირად გადაცემა ქართულ და უცხოურ ენებზე; შეეძლება თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენება.

**სწავლის უნარი:**

შეეძლება საკუთარი სწავლის პროცესის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა.

**ღირებულებები:**

შეეძლება პროფესიული ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა; შეუძლება ბუნებათსარგებლობის პრინციპებისა და თეორიების ღირებულებების შეფასება და ახალი ღირებულებების დამკვიდრებაში წვლილის შეტანა.

პროგრამის სწავლის შედეგები უმეტესად დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან, სწავლის სფეროს თავისებურებებთან და ძირითადად პასუხობს სატყეო საქმის დარგობრივი მახასიათებლის მოთხოვნებს.

პროგრამის სწავლის შედეგები უმეტესად აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ვერ უზრუნველყოფენ პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას (მაგალითად: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“). ზემოაღნიშნული სასწავლო კურსები მიეკუთვნება ლანდშაფტის მენეჯმენტის, საპარკო და სატყეო საქმის ძირითადი განათლების სასწავლო კურსებს, ხოლო სასწავლო კურსების მიზნები და სწავლის შედეგები განკუთვნილია სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის.

აგრეთვე პრაქტიკული განათლების კრედიტების მცირე რაოდენობა (5 კრედიტი), ვერ უზრუნველყოფს პროგრამის ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარების მიღწევადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსები: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი „სატყეო საქმე“

**რეკომენდაციები:**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამაში „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ გაიზარდოს პრაქტიკის კომპონენტი.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები“, „აგროქიმია“, „მცენარეთა გენეტიკა“, „მცენარეთა სელექცია“ მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაში მოვიდეს პროგრამის მიზანთან, სწავლის შედეგებსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- ------------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამას გააჩნია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს. აგრეთვე პროგრამის სწავლის შედეგების მიღებული შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის განვითარებისა და გაუმჯობესებისათვის

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმთან დაკავშირებით პროგრამის აკრედიტაციისას (2019 წლის 24 იანვარი) არ ყოფილა გაცემული რეკომენდაციები.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 24 იანვრის №30 გადაწყვეტილება;
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2019 წლის 07 ნოემბრის №57 ოქმი.
- საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ანგარიშები http://agruni.edu.ge/ge/misiionvision

**რეკომენდაციები:**

--------------------

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

--------------------

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

პროგრამის სტრუქტურა ძირითადად თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურამ აკრედიტაციის შემდგომ განიცადა ცვლილება კერძოდ „საველე პრაქტიკა" გადავიდა პრაქტიკული განათლებიდან საუნივერსიტეტო ზოგად განათლებაში. პროგრამის აკრედიტაციისას (უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2019 წლის 07 ნოემბრის #57 ოქმი) მისი სტრუქურა იყო:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება 50 ECT

მიმართულების ზოგადი განათლება 33 ECT

მიმართლების საბაზო განათლება 23ECT

პრაქტიკული განათლება 8 ECT

სატყეო საქმის ძირითადი განათლება 67 ECT

კონცენტრაცია 47 ECT

არჩევითები 12 ECT

ამჟამად წარმოდგენილ ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე" კი პროგრამის სტრუქტურა შემდეგნაირად გამოიყურება:

საუნივერსიტეტო ზოგადი განათლება 53

მიმართულების ზოგადი განათლება 33

მიმართულების საბაზო განათლება 23

პრაქტიკული განათლება 5

ძირითადი განათლება 114

| | |
|---|---|
| არჩევითები | 12 |
| | 240 |

წარმოდგენილ პროგრამაში შემცირდა პრაქტიკული განათლების კრედიტების რაოდენობა იყო 8 კრედიტი, ამჟამად არის 5 კრედიტი. პრაქტიკული განათლების შემცირებით საფრთხე ექმნება პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობას.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომის 2019 წლის 07 ნოემბრის №57 ოქმი.
- ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე“ სილაბუსები: „საველე პრაქტიკა“, „მუშაობა ორგანიზაციაში“.
- უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლი „სატყეო საქმე“

**რეკომენდაციები:**

- სასწავლო კურსი „საველე პრაქტიკა“ საუნივერსიტეტო ზოგადი განათლებიდან გადავიდეს პრაქტიკული განათლების შემადგენლობაში.

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- __________________

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე" სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უმეტეს შემთხვევაში უზრუნველყოფს ამ კურსის განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას და ძირითადად აკმაყოფილებს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლის „სატყეო საქმე" მოთხოვნებს.
მიუხედავად ზემოაღნიშნულისა ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევადობიდან გამომდინარე რეკომენდირებულია ძირითადი განათლების სასწავლო კურსებს გაეზარდოს კრედიტები, როგორიცაა: „დენდროლოგია", „დენდრომეტრია", „ტყის მართვა", „ტყეთმცოდნეობა და მეტყევეობა", „ ტყის გაშენება".
სასწავლო კურსის სილაბუსები: „საველე პრაქტიკა" და „მუშაობა ორგანიზაციაში" ზოგადი ხასიათისაა, სატყეო სფეროს სპეციფიურობიდან გამომდინარე საჭიროა მათი მოდიფიცირება რათა მიღწევადი იყოს პროგრამის სწავლის შედეგები.

სასწავლო კურსის შინაარსიდან, სწავლის მიზნებიდან და შედეგებიდან გამომდინარე სასურველია შეეცვალოს სათაური სასწავლო კურსს „ტყის მართვა" და ჩამოყალიბდეს „ტყის მართვის დაგეგმვა".

ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამის „ლანდშაფტის მენეჯმენტი, საპარკო და სატყეო საქმე" ძირითადი განათლების სასწავლო კურსის სილაბუსების: „მიწათმოქმედების საფუძვლები", „აგროქიმია", „მცენარეთა გენეტიკა", „მცენარეთა სელექცია" მიზნები და სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროგრამის მიზანს და სწავლის შედეგებს და მისანიჭებელ კვალიფიკაციას და იგი განკუთვნილია სასოფლო სამეურნეო კულტურებისათვის კერძოდ:

<u>მიწათმოქმედების საფუძვლები:</u>
**სასწავლო კურსის მიზანია** გააცნოს სტუდენტს ნიადაგის მექანიკური დამუშავების, სარეველების წინააღმდეგ ბრძოლის, ნათესების სტრუქტურის შედგენისა და სხვადასხვა აგრომელიორაციური ღონისძიებების თანამედროვე მეთოდები, რაც მომავალ აგრონომს დაეხმარება მეურნეობებში მდგრადი საწარმოო პროცესის ორგანიზებაში.

სწავლის შედეგები:

- იცის შეგროვილი მასალების ანალიზის საფუძველზე და სწორი მენეჯმენტით განახორციელოს კულტურათა მოვლა-მოყვანის ღონისძიებები;
- იცის ახალი ტექნოლოგიების დანერგვით მიიღოს მაღალი მოსავალი ნაკლები დანახარჯებით;
- შეუძლია მემინდვრეობის მეურნეობაში არსებული პრობლემების მოგვარება;
- შეუძლია თესლბრუნვების შემოღება და ათვისება;
- შეუძლია აგროკლიმატური პირობების მიმართ შეგუებული ჯიშების შერჩევა;
- შეუძლია ზონების მიხედვით ტექნოლოგიური პროცესების გაუმჯობესება;
- აკეთებს სწორ დასკვნებს ფერმერულ მეურნეობების პროფილის მიხედვით კულტურათა ინტენსიფიკაციასა და მოსავლიანობის გაზრდისთვის;

ზემოაღნიშნულ მიზანში და სწავლის შედეგებში არაფერია ნათქვამი სატყეო სფეროზე და სატყეო დარგში მის გამოყენებაზე.

<u>აგროქიმია:</u>
„კურსის მიზანია მომავალ სპეციალისტს შეასწავლოს მცენარის კვებისა და მისი დიაგნოსტიკის საკითხები, მინერალური და ორგანული სასუქების დახასიათება და გამოყენება, სასოფლო-სამეურნეო კულტურების განოყიერების სისტემის შედგენისა და პროდუქციის ხარისხის მართვის პრინციპები, გარემოსა და პროდუქტების დაბინძურების ძირითადი წყაროები და მათ აღსაკვეთად საჭირო ღონისძიებათა სისტემა".
სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან დაკავშირებული საკითხები განხილულია შემდეგ მეცადინეობებზე:
ლექცია-5, 9,10,11,12;

სემინარი - 4,6,9,10,11,12;
ლაბორატორიული - 12

<u>**მცენარეთა გენეტიკა**</u>

სასოფლო-სამეურნეო კულტურებთან დაკავშირებული საკითხები განხილულია შემდეგ მეცადინეობებზე:
ლექცია - 9, 13;
სემინარი - 13.

<u>**მცენარეთა სელექცია**</u>

**სწავლის შედეგები:**

კურსის წარმატებით გავლის შემდეგ სტუდენტი/სტუდენტს/სტუდენტმა:

- იცის სასოფლო-სამეურნეო მცენარეების რეპროდუქციული თავისებურებები;
- გაცნობიერებული აქვს მცენარეთა სელექციის მნიშვნელობა სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარებისათვის;
- შეუძლია მოსავლიანობის მალიმიტირებელი ჯიშური თვისებებისა და გარემო ფაქტორების განსაზღვრა;
